საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4934/01
01/06/2020

4934-01-2-202006011253

შპს „გიო-10“-ს
მის: ქ. ბათუმი, ალ. გრიბოედოვის ქ. N38, ბ N23

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 21 მაისის N7554 წერილი, რომელიც ეხება ქ. ბათუმში პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის მილების დამამზადებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ინფორმაცია:

- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 13) აღნიშნულია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-10 მუხლის 10.3 პუნქტის თანახმად საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, ამიტომ აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშსა (გვ. 15 და 61) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (გვ. 4 და 31) აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიიდან პირდაპირი მანძილი უახლოეს მოსახლემდე შეადგენს დაახლოებით 15 მეტრს, ხოლო უახლოესი გაფრქვევის წყაროდან 30 მეტრს. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან სამხრეთით უახლოესი სახლი (ს/კ: 05 26 13 043) მდებარეობს დაახლოებით 3 მეტრში, რაც საჭიროებს დაზუსტებას. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში უნდა დაზუსტდეს ასევე უშუალოდ გაფრქვევის წყაროების GPS კოორდინატები, რის შემდგომაც გზშ-ის ანგარიში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით;
- საპროექტო ტერიტორია მდებარებს ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N97/99 და მის საქმიანობას წარმოადგენს პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავება და პლასტმასის მილების დამზადება (ნარჩენების აღდგენა). გზშ-ის ანგარიშში (გვ 39) აღნიშნულია, რომ საწარმოო ტერიტორია მდებარეობს ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია ანალოგიური ტიპის სამშენებლო მასალების წარმოების საამქროები, კერძოდ: სასაქონლო

ბეტონის წარმოების, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი, ბლოკის წარმოების საამქროები, ასფალტის ქარხნები და სხვა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ბათუმში მდებარე ობიექტებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს საკურორტო ზონებისთვის დადგენილი შესწორების კოეფიციენტი (0.8 ზდკ);

- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 65) აღნიშნულია, რომ საქმიანობის სპეციფიკის გამო, ნიადაგის ძირითად დამაბინძურებელ ფაქტორს წარმოადგენს: შლამის და კუდების მართვის წესების დარღვევა და ნავთობპროდუქტების ნიადაგში მოხვედრა. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შლამების და კუდების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 66) აღნიშნულია, რომ საწარმოს **მშენებლობისას** ადგილი ექნება მანქანა-დანადგარების ხმაურს, რაც დააფრთხობს მიმდებარედ მობინადრე ცხოველთა სახეობებს. ვინაიდან, საწარმო უკვე მოწყობილია არსებულ შენობაში და პროექტის ეტაპზე სამშნებლო სამუშაოები არ იგეგმება, შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სუნის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში (გვ. 48) აღნიშნულია, რომ საკანალიზაციო და წყლის მილების წარმოება მოხდება, როგორც ადგილობრივი საწარმოებიდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი ნედლეულით. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს იმპორტისთვის გათვალისწინებული ნარჩენების კოდები და დასახელებები, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის №259 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისათვის, საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტისათვის და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისათვის დაშვებული ნარჩენების ნუსხის“ შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „გიო-10“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე